გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №9

ქ. გარდაბანი

29 ივლისი 2026 წელი
13^{00} სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი:

სამირ ხიალოვი
ვუგარ მამედოვი
ზურაბ ბენდელიანი
გიორგი გურულიშვილი
დავით ჭინჭარაული
ანა დადეშქელიანი
ბეთქილ კახიანი
ისლამ მამედოვი
ანი მანჩხაშვილი
ლია მეტრეველი
თორნიკე ქავთარაძე
დავითი ებილაშვილი
ქართლოსი მამულაძე
თამარ ხაჩიძე
მირზა მირზოევი
ოთარი გავაშელიშვილი
ლაშა ქართლოსიშვილი
ფლორა ასკაროვა
შახადატ მეხრალიევი
კამრან ბაბაევი
ლევანი ბეგლარიშვილი
მალხაზ ვახტანგიძე
ხვიჩა ჩიტიაშვილი
გიორგი გამეზარდაშვილი
იოსები ძამნაშვილი
ზაქირ დაშდამიროვი
იუსუფ მელაძე
საბაილ მამედოვი
არაზ ვალიევი
ილხამ ბაირამოვი
ნიჩატ ისმაილოვი
არკადი ფანგანი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგ მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი-ბესარიონ მაისურაძე;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი-დავით ჯანაშია.

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ გედეხაურმა საკრებულოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ .

მომხსენებელი: ფიქრია ქარუმიძე
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***დავით შინჯიკაშვილი***
თანამომხსენებელი: ***დავით ჭინჭარაული***

3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ***დავით შინჯიკაშვილი***
თანამომხსენებელი: ***დავით ჭინჭარაული***

4. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 33
წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუწიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ფიქრია ქარუმიძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას და დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის**

26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკრებულოს წევრებს გააცნო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა-ბესარიონ მაისურაძემ, მანვე განმარტა, რომ „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო - 1,145,061 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად და სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. სულ 2026 წლისთვის აღნიშნული განკარგულებით გამოყოფილმა ტრანსფერმა - 1,814,993 ლარი შეადგინა.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებით გათვალისწინებული პროექტის, სოფელ აღთაკლიაში კორპუსების ფასადების და კანალიზაციის რეაბილიტაცია, ნაცვლად ამავე განკარგულების ფარგლებში დაფინანსდება პროექტები:

- სოფ. აღთაკლიაში სტადიონის მოწყობა - 196,726 ლარი;
- სოფ. კალინინოში სტადიონის მოწყობა - 196,726 ლარი;
- სოფელ აღთაკლიაში და სოფელ ყარათაკლიაში სკვერებისა და ფანჩატურების მოწყობა - 113,999 ლარი.

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის N1137 განკარგულებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 774,150 ლარი, სოფელ მარტყოფში ჯებირებისა და გაბიონების მოსაწყობად.

ამოღებულ იქნა პროექტის, სოფელ აღთაკლიაში კორპუსების ფასადების და კანალიზაციის რეაბილიტაციის თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებული თანხა - 26,708 ლარი, რაც გადანაწილდა შემდეგი პროექტების თანადაფინანსებისთვის:

- სოფ. აღთაკლიაში სტადიონის მოწყობა - 10,354 ლარი;
- სოფ. კალინინოში სტადიონის მოწყობა - 10,354 ლარი;
- სოფელ აღთაკლიაში და სოფელ ყარათაკლიაში სკვერებისა და ფანჩატურების მოწყობა - 6,000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 33
წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №8 - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საკითხი 2

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას და დადგენილების პროექტი - **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“** საკრებულოს წევრებს წარუდგინა ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის, მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა -დავით ჯანაშიამ, მანვე განმარტა, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ხელს უწყობენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებას, რისთვისაც შეიძლება განახორციელონ კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის აღრიცხონ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები.

უძრავი ნივთის რეგისტრაციის/რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანისას მარეგისტრირებელი ორგანო მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისგან

სხვა კანონით გათვალისწინებულ სარეგისტრაციოდ წარსადგენ დოკუმენტებთან ერთად ითხოვს „ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელს“.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზანია მოქალაქეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებაში დახმარების გაწევა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს- **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 33
წინააღმდეგი – 0
მიღებულია დადგენილება №9 – **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“.**

საკითხი 3

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას და დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** საკრებულოს წევრებს წარუდგინა ეკონომიკური განვითარებისა და

მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის, მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა - დავით ჯანაშიამ. მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს კანონში - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, აუცილებელი გახდა მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტის მოქმედ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. კერძოდ, ძალადაკარგული და კოდექსიდან ამოღებული 77² და 156¹ მუხლების მუნიციპალური აქტის ტექსტიდან ამოღება. აგრეთვე დღის წესრიგში დადგა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე, 103¹ და 103² მუხლებით განსაზღვრულ სამართალდარღვევებზე ოქმის შემდგენი პირებისა და სამართალდარღვევის რეაგირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მექანიზმების დეტალური დარეგულირება.

გარდა ამისა, პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებისა და საჯარიმო ქვითრების შედგენის, შევსებისა და ადმინისტრირების პროცესში სუბიექტთა წრის დაზუსტება. ვინაიდან ოქმის შევსების უფლებამოსილება, მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, ენიჭება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებსაც, საჭირო გახდა ტერმინოლოგიური ცვლილების განხორციელება და „საჯარო მოხელის“ ნაცვლად ტერმინის - „საამისოდ უფლებამოსილი პირის“ დამკვიდრება და პროცედურული წესების შესაბამისობაში მოყვანა.

დადგენილების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებისა და მისით დამტკიცებული წესის (დანართი №1) საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კერძოდ, პროექტის მიზანია შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის წესების დარღვევასთან (103-ე, 103¹ და 103² მუხლები) დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმის შექმნა და აღნიშნულ მუხლებზე ოქმის შედგენის/გამოყენების უფლებამოსილების მინიჭება ა(ა)იპ „სუფთა ქალაქისათვის“; ასევე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის შედგენაზე, შევსებასა და წარმოებაზე უფლებამოსილ პირთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა (საამისოდ უფლებამოსილი პირები); რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 33

წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №10 – **„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საკითხი 4

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ლევან ნიჟარაძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას და განკარგულების პროექტი-**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ ბენდელიანმა. მომხსენებელმა განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება განსახილველი განკარგულების პროექტის მიხედვით და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ ივლისის თვის ხარჯები დანართის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –33

წინააღმდეგი –0

მიღებულია განკარგულება №68 - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **მიხეილ გედეხაური**

საკრებულო. გარდაბნის მუნიციპალიტეტი * 226573204 *